საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1161

თბილისი „22“ 12 2017 წ

„2016-2017 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 06 დეკემბრის N1083 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 14 დეკემბრის N1538142 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „2016-2017 სასწავლო წლის სრული ზოგადი განათლების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების სიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 06 დეკემბრის N1083 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ის 383-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

383	თბილისი	დიდუბე-ჩუღურეთი	სსიპ - ქალაქ თბილისის №155 საჯარო სკოლა	ბაია	ცხადაშვილი		ოქრო	10

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

მიხეილ ჩხენკელი